

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კულტურული მემკვიდრეობის
საბჭო

N 03-07/36

„~~მ. ახლო~~“ 2019 წელი ქ. ბათუმი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურიდან 2019 წლის 4 აპრილს №25/6206 კორესპონდენციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი იქნა ქალაქ ბათუმში, რ. კომახიძის ქ. №10/60-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.21.37.001.01.512) კომერციული დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებისა და არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე. განმცხადებელი: ნათია ანთაძე.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს მიერ ოქმი №03-06/05 (24.04.2019წ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 52 მუხლის მესამე პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №18 დადგენილების შესაბამისად.

საბჭომ გადაწყვიტა:

შეთანხმებულ იქნას კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ქ. ბათუმში, რ. კომახიძის ქ. №10/60-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.21.37.001.01.512) კომერციული დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება და არქიტექტურული პროექტი.


საბჭოს თავჯდომარე:

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორი - სხდომის თავმჯდომარე - ზაურ ახვლედიანი



საბჭოს წევრები:


სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის მოადგილე - ოლეგ ბოლქვაძე




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური
ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი - ნუგზარ ძნელაძე



სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური
ფაკულტეტის დეკანი - გაიოზ ფარცხალაძე



სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
უფროსი მასწავლებელი - ზვიად ბურჭულაძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავჯდომარის მრჩეველი - დავით ზოიძე

